

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

არასამეწარმეო (არაკომერციული) თურიდიული პირი „ფონდი კონსტანტა“-ს მენეჯმენტს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ ააიპ „ფონდი კონსტანტა“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყის 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების

შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ააიპ „ფონდი კონსტანტა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დავით სიჭინავა
დირექტორი

ფინანსური მართვის ჯგუფი

12 ივლისი, 2016 წელი

თბილისი, საქართველო

ვინანსები მასივს ჭეჭე



	31.12.2013 (არააუდიტი ირებული)		12/31/2014	12/31/2015
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	3	3,606,265	695,042
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	6	-	-	2,030,000
საინვესტიციო ქონება	7	-	25,000	25,000
დებიტორული დავალიანება	8	-	20,914	21,439
წინასწარ გადახდილი ხარჯები	9	-	3,568	1,395
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	-	396	245
წინასწარ გადახდილი გადასახადები	11	119,920	64,175	72,021
ჯამურად მიმდინარე აქტივები		119,923	3,720,317	2,845,142
ძირითადი საშუალებები	12	-	75,370	220,979
არამატერიალური აქტივები	13	-	-	570
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		-	75,370	221,549
სულ აქტივები		119,923	3,795,687	3,066,691
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	14	6,140	-	1
გადასახდელი პროცენტები		35	-	-
კრედიტორული დავალიანება	15	-	345	2,839
გადასახდელი გადასახადები	16	-	491,719	1,105
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		6,175	492,064	3,944
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	17	-	11,303	11,303
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		-	11,303	11,303
სულ ვალდებულებები		6,175	503,366	15,247
კაპიტალი				
აკუმულირებული ფონდები		113,748	3,292,320	3,051,444
სულ კაპიტალი		113,748	3,292,320	3,051,444
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		119,923	3,795,687	3,066,691

აღმასრულებელი დირექტორი
 ხათუნა დუნდუა

12 ივლისი, 2016
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
 ეკა ცანავა

12 ივლისი, 2016
 თბილისი, საქართველო

	12 თვე, 2013 წ.		12 თვე, 2014 წ.	12 თვე, 2015 წ.
	შენიშვნა	(არა- აუდიტორებული)		
საპროცენტო შემოსავალი	18	-	30,446	244,930
საპროცენტო ხარჯი	18	(35)	(4,129)	(503)
წმინდა პროცენტული შემოსავალი		(35)	26,317	244,427
შემოწირულობებიდან მიღებული შემოსავლები		-	661	-
გრანტებიდან მიღებული შემოსავლები		(35)	26,978	244,427
შემოსავალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით		-	127	2
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-	391	1,736
შემოსავალი დანაკარგის ანაზღაურებიდან	19	-	4,033,950	-
შემოსავალი სადაზღვევო ანაზღაურებიდან		-	-	1,074
სხვა შემოსავლები		-	999	6,608
საოპერაციო შემოსავალი		-	4,035,466	9,420
ზარალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით		-	(364)	(570)
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		-	(224)	(1,726)
საკომისიო ხარჯები	20	(4)	(2,923)	(562)
ცვთის ხარჯი		-	(3,232)	(20,605)
ადმინისტრაციული ხარჯები	21	(6,133)	(323,787)	(471,259)
სულ საოპერაციო ხარჯები		(6,137)	(330,530)	(494,723)
არასაოპერაციო ზარალი		-	(10)	-
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		-	(10)	-
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(6,172)	3,731,904	(240,876)
მოგების გადასახადი	22	-	(553,332)	-
წმინდა მოგება		(6,172)	3,178,573	(240,876)

აღმასრულებელი დირექტორი
 ხათუნა დუნდუა

12 ივლისი, 2016
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
 ეკა ცანავა

12 ივლისი, 2016
 თბილისი, საქართველო

	31.12.2013 (არა- აუდიტირებული)	31.12.2014	12/31/2015
წლის მოგება/(ზარალი)	(6,172)	3,731,904	(240,876)
<i>კორექტირება</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	-	3,232	20,605
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(553,332)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(6,172)	3,181,804	(220,271)
ცვლილებები მოთხოვნებზე გაცემულ სესხებში	-	-	(2,030,000)
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	-	(25,000)	-
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	-	(20,914)	(526)
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	-	(396)	151
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(2,672)	55,745	(7,846)
ცვლილებები წინასწარ გადახდილი ხარჯებში	-	(3,568)	2,173
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	-	345	2,493
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	-	491,719	(490,614)
ცვლილებები გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებში	-	11,303	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(8,844)	3,691,038	(2,744,439)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-	(570)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(78,602)	(166,214)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(78,602)	(166,784)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	35	(35)	-
მიღებული/(გადახდილი) სესხები	6,140	(6,140)	1
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	6,175	(6,175)	1
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(2,669)	3,606,261	(2,911,222)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	2,672	3	3,606,265
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	3	3,606,265	695,042

აღმასრულებელი დირექტორი
 ხათუნა დუნდუა

12 ივლისი, 2016
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
 ვვა ცანავა

12 ივლისი, 2016
 თბილისი, საქართველო

	აკუმულირებული ფონდები	ჯამურად
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (არა აუდიტირებული)	119,920	119,920
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	(6,172)	(6,172)
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (არა აუდიტირებული)	113,748	113,748
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	3,178,573	3,178,573
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,292,320	3,292,320
პერიოდის წმინდა მოგება	(240,876)	(240,876)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,051,444	3,051,444

აღმასრულებელი დირექტორი
ხათუნა დუნდუა

12 ივლისი, 2016
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
კვა ცანავა

12 ივლისი, 2016
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ფონდი კონსტანტა“ (შემოდგომში - „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 1997 წლის 31 იანვარს, საიდენტიფიკაციო კოდი: 211335474, მარეგისტრირებული ორგანო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, კრწანისის ქ., N22-24, ბინა 42, ბლოკი „დ“. ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან: თამარ ლებანიძე (პ/ნ 01024014985), ლევან ლებანიძე (პ/ნ 01026001573), გელა ვარძიაშვილი (პ/ნ 01030006031), ნათელა თურნავა (პ/ნ 01010008167), მანანა ჯახუა (პ/ნ 01024009770).

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცირე მეწარმეობის და მცირე ფერმერების ხელშეწყობა.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ორგანიზაციის ბალანსზე ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღიარდება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

3.3 კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნის ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შესყიდვასა და შექმნასთან.

3.4 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ორგანიზაციამ აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის“ საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და
- ორგანიზაციამ ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ ან: (ა) გადასცეს აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას, მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ორგანიზაცია აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება, მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ორგანიზაცია აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

3.5 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა(აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა(შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესის მიხედვით და ყოველთვის არ შეესაბამება საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებს, ვინაიდან ეს მეთოდი ყოველთვის სათანადოდ არ განსაზღვრავს ამ აქტივებთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები	5-10%
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20-25%
სატრანსპორტო საშუალებები	15-25%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20-25%

ორგანიზაცია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია.

ორგანიზაცია არ ახორციელებს შეფასებებს, რომ დაადგინოს რომელიმე ძირითადი საშუალების ცვლილება.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, წლიური 15%-იანი განაკვეთით.

3.7 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

3.8 კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს აკუმულირებულ მოგება (ზარალს).

3.9 საგადასახადო დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

3.9 საგადასახადო დაბეგვრა (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომელიც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ორგანიზაცია აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობების რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება და საბალანსო ანგარიშგებაში აისახება წმინდად, თუ:

- აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივის გაქვითვა მოგების გადასახადის ვალდებულებებთან მიმართებაში; და
- გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და მოგების ვალდებულებები უკავშირდება მოგების გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო ორგანომ დაუწესა ამავე საწარმოს.

3.10 მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალის გადავადება ხდება 5 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციას მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

3.11 საშემოსავლო გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

3.12 შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

3.13 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.14 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მირებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2015
ლარი/1 აშშ დოლარი	1.8636	2.3949
ლარი/1 ევრო	2.2656	2.6169

3.15 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ორგანიზაცია ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

3.16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდები.

4 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2015 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის:

ა) 2015 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები: 2015 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში პირველად მყოფ არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას და შესწორებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული: 2015 წლის პირველი იანვრის შემდგომ დაწყებული პერიოდებისათვის ძალაში მყოფი და ადრე მიღებული არცერთი ახალი სტანდარტი, ინტერპრეტაცია და შესწორება არ მოახდენს არსებით გავლენას კომპანიის მომავალი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 5 - ფული და ფულადი ექვივალენტები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
ლარები მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	3	48,765	134,024
ევროები მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	-	-	1,018
ვადიანი დეპოზიტები ლარებში	-	3,557,500	560,000
ჯამურად ფული და ფულადი ექვივალენტები	3	3,606,265	695,042

შენიშვნა 6 - მოთხოვნები გაცემული სესხებიდან

ორგანიზაცია გასცემს სესხებს სააქციო საზოგადოება „მაიკრო ფინ“-ს, რომელიც წარმოადგენს შვილობილ კომპანიას. კერძოდ, ორგანიზაცია ფლობს სს „მაიკრო ფინი“-ს აქციების 10%.

	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
სს მაიკრო ფინი	-	-	2,030,000
სულ მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	-	-	2,030,000

შენიშვნა 7 - საინვესტიციო ქონება

ორგანიზაციას გააჩნია წილი სააქციო საზოგადოება „მაიკრო ფინ“-ში, სადაც ფლობს 25,000 ცალ აქციას, ხოლო წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 10%-ს. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს მცირე სესხების გაცემას.

	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
სს მაიკრო ფინი	-	25,000	25,000
სულ საინვესტიციო ქონება	-	25,000	25,000

შენიშვნა 8 – დებიტორული დავალიანება	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
ბანკებში განთავსებული სახსრებიდან მისაღები პროცენტები	-	10,064	1,239
მისაღები პროცენტები გაცემულ სესხებზე	-	-	14,351
მოთხოვნები სასამართლოზე გადაცემულ მსესხებლების მიმართ	-	10,850	5,850
სულ დებიტორული დავალიანება	-	20,914	21,439

შენიშვნა 9 - წინასწარ გადახდილი ხარჯები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
წინასწარ გადახდილი ავანსები (ფიზიკური პირები)	-	528	-
წინასწარ გადახდილი ავანსები (იურიდიული პირები)	-	3,040	1,395
სულ წინასწარ გადახდილი ხარჯები	-	3,568	1,395

შენიშვნა 10 – სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
საწვავი	-	396	245
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	396	245

შენიშვნა 11-წინასწარ გადახდილი გადასახადები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
მოგების გადასახადი	82,285	31,602	32,261
დღგ	25,523	25,529	25,533
სოციალური გადასახადი	2,858	-	-
საშემოსავლო გადასახადი	3,980	4,441	11,625
სხვა საბიუჯეტო გადასახადები	2,602	2,602	2,602
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	117,248	64,175	72,021

შენიშვნა 12 -ძირითადი საშუალებები

შენიშვნა – ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	სულ
საერთო ღირებულება				
ბალანსი 31.12.2013	-	-	-	-
დანამატები	-	5,894	9,770	78,602
აქტივების ჩამოწერა				-
ბალანსი 31.12.2014	-	5,894	9,770	78,602
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 31.12.2013				-
ცვეთა პერიოდისათვის	-			-
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	(333)	(293)	(3,232)
ბალანსი 31.12.2014	-	(333)	(293)	(3,232)
წმინდა ღირებულება				
ბალანსი 31.12.2014	-	5,561	9,477	75,370

შენიშვნა 12 -ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	შენიშვნა – ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	სულ
საერთო ღირებულება					
ბალანსი 31.12.2014	-	5,894	62,938	9,770	78,602
დანამატები	155,742	5,471	-	3,290	164,503
აქტივების ჩამოწერა					
ბალანსი 31.12.2015	155,742	11,364	62,938	13,060	243,105
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 31.12.2014					-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(333)	(2,606)	(293)	(3,232)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	(2,146)	(1,808)	(12,588)	(2,352)	(18,894)
ბალანსი 31.12.2015	(2,146)	(2,141)	(15,193)	(2,645)	(22,126)
წმინდა ღირებულება					
ბალანსი 31.12.2015	153,597	9,223	47,745	10,414	220,979

შენიშვნა 13 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საერთო ღირებულება ბალანსი 31.12.2013	-	-
დანამატები ბალანსი 31.12.2014	2,281	2,281
დაგროვილი ცვეთა ბალანსი 31.12.2013		
ცვეთა პერიოდისათვის ბალანსი 31.12.2014	(1,711)	(1,711)
წმინდა ღირებულება ბალანსი 31.12.2014	570	570

შენიშვნა 14 – მიღებული სესხები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი ოვერდრაფტი მიმდინარე ანგარიშზე სს პალიკ ბანკში	6,140	-	-
	-	-	1
სულ მიღებული სესხები	6,140	-	1

შენიშვნა 15 - კრედიტორული დავალიანება	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
ფიზიკური პირები		55	-
იურიდიული პირები	-	290	2,839
სულ კრედიტორული დავალიანება	-	345	2,839

შენიშვნა 16 - გადასახდელი გადასახადები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
მოგების გადასახადი	-	491,342	-
ქონების გადასახადი	-	377	1,105
სულ გადასახდელი გადასახადები	-	491,719	1,105

**შენიშვნა 17 - გადავადებული
 საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)**

	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
I ნაწილისათვის	-	-	11,303
მფუძვანა და ზარალში აღიარება			
საგადასახადო შემოსავალი (ხარჯი)	-	11,303	-
მშენებარე შემოსავალში აღიარება			
III დეკემბრისათვის	-	11,303	11,303

შენიშვნა 18 - პროცენტული შემოსავლები და ხარჯები

	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
პროცენტული შემოსავალი			
რეზიდენტ ბანკებში განთავსებული სახსრები	-	30,433	129,835
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	-	13	115,095
მთლიანი პროცენტული შემოსავალი	-	30,446	244,930
პროცენტული ხარჯი			
რეზიდენტ ბანკებში მიღებული სესხები	-	-	(503)
ფინანსური პირებისგან მიღებული სესხები	(35)	(4,129)	-
მთლიანი პროცენტული ხარჯი	(35)	(4,129)	(503)
შენიშვნა პროცენტული შემოსავალი	(35)	26,317	244,427

შენიშვნა 19 - შემოსავალი დანაკარგის ანაზღაურებიდან

ორგანიზაციამ მიიღო შემოსავალი, რომელიც ჩაერიცხა 2014 წლის 22 სექტემბერს სს თი-ბი-სი ბანკთან 2014 წლის 23 ივლისის მორიგებით დასრულებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (სასამართლო გადაწყვეტილების საქმე 2/4048-14).

შენიშვნა 20 - საკომისიო ხარჯი	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
გადარიცხვების ოპერაციების საკომისიო ტრანზაქციის მომსახურების ხარჯი ქვეყნის გარეთ	4	2,724	333
მიმდინარე ანგარიშემოს მომსახურების საკომისიო	-	-	179
დიჯიპასისა და თოკენის მომსახურების საკომისიო	-	15	-
ინტერნეტ ბანკინგის საკომისიო	-	45	50
	-	140	-
სულ საკომისიო ხარჯი	4	2,923	562

შენიშვნა 21 – ადმინისტრაციული ხარჯები	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
საკომუნიკაციო ხარჯები	-	419	1,226
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	-	-	32,642
იურიდიული და სარეგისტრაციო მომსახურების ხარჯები	6,133	230,225	15,274
საბუღალტრო მომსახურების ხარჯები	-	-	5,600
ორგანიზაციის საწევრო შენატანების ხარჯები	-	3,121	2,400
ხარჯები ოპერაციული ღირებულების მიხედვით	-	2,531	7,282
სახელფასო ხარჯები	-	74,874	324,240
ჰონორარის ხარჯები	-	-	1,833
შვებულების ხარჯები	-	-	920
რეკლამის ხარჯები	-	-	334
მივლინების ხარჯები	-	3,242	39,545
სწავლის გადასახადის ხარჯები	-	-	8,756
შენობა - ნაგებობების შეკეთების ხარჯები	-	-	582
საოფისე ინვენტარის ხარჯები	-	1,277	2,184
კომუნალური ხარჯები	-	237	1,880
დაზღვევის ხარჯები	-	800	3,695
საწვავის ხარჯები	-	2,582	11,617
პარკინგის ხარჯები	-	50	25
ტრანსპორტირების ხარჯები	-	-	150
თარჯიმნის მომსახურების ხარჯები	-	-	1,260
საგადასახადო ხარჯები	-	1,064	2,191
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	162	742
სხვა ხარჯები	-	3,203	6,880
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	6,133	323,787	471,259

შენიშვნა 22 - მოგების გადასახადი

ორგანიზაცია საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს იმ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ის და მისი მეკავშირე კომპანიები მოღვაწეობენ და რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

ორგანიზაცია განიცდის მუდმივ საგადასახადო განსხვავებებს გარკვეული არასაგადასახადო ხარჯების გამოქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად ასოცირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და აგრეთვე გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან.

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ მოგების გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქ. ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

შენიშვნა 23 - საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადების ტესტირების პროცესში ჩვენ მოვიპოვეთ საწარმოს ბუღალტრის მიერ შევსებული სახელფასო უწყისები, საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი დეკლარაციები და გაანგარიშებები, აგრეთვე საბანკო ამონაწერები და ბანკის საგადახდო დავალებები.

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქ. ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახდო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

შენიშვნა 24 - დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებითი ღირებულების გადასახადების ტესტირების პროცესში ჩვენ მოვიპოვეთ საწარმოს ბუღალტრის მიერ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი დეკლარაციები და გაანგარიშებები უკუდაბეგრვის წესით დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ.

აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქ. ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახდო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

შენიშვნა 25 - ქონების გადასახადი

ქონების გადასახადების ტესტირების პროცესში ჩვენ მოვიპოვეთ საწარმოს ბუღალტრის მიერ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი დეკლარაციები და გაანგარიშებები ქონების გადასახადის შესახებ.

აუდიტირებად პერიოდში უზუსტობებს ადგილი არ ჰქონია, დეკლარაციები შევსებულია საქ. ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახდო ინსპექციაში წარდგენილია დროულად.

შენიშვნა 26 - ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და პასივების სამართლიანი ღირებულება დადგენილია შემდეგი წესით:

- სტანდარტული ვადებისა და პირობების მქონე და აქტიურ ლიკვიდურ ბაზარზე გასაყიდი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებულ საბაზრო ფასებთან შედარების საფუძველზე (აქ შედის რეგისტრირებული გამოსყიდვადი ფასიანი ქაღალდები, კონვერტირებადი თამასუქები, სავალო ვალდებულებები და უვადო ფასიანი ქაღალდები).
- სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (დერივატიული ინსტრუმენტების ჩათვლით) სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების საყოველთაოდ მიღებული მოდელების მეშვეობით, დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზის საფუძველზე, მსგავსი ინსტრუმენტებით შესრულებული დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციების ფასებზე და დილერთა კოტებზე დაყრდნობით.

შენიშვნა 27 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, პოლიტიკური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით:

	12/31/2013	12/31/2014	12/31/2015
სს მაკრო ფინისათვის გაცემული სესხი	-	-	2,030,000
სს მაკრო ფინში განხორციელებული ინვესტიცია	-	25,000	25,000
სს მაკრო ფინისგან მისაღები პროცენტები გაცემულ სესხებზე	-	-	14,351
სს მაკრო ფინისათვის გაცემული სესხიდან დარიცხული საპროცენტო შემოსავლები	-	13	115,095

შენიშვნა 28 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.
